სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის თხუთმეტ მაისს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,** მომმართა *ნოდარ როგაძემ.* მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა *ლევან ხეცურიანის* მიმართ და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად *ნოდარ როგაძემ (დაბ. 25.07.1955 წ. თერჯოლაში. პ/№ 01020000282, რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ჩხიკვაძის ქ. №37/24)* მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თხუთმეტი წლის თხუთმეტ მაისს მე, *ნოდარ როგაძემ,* შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ *ლევან ხეცურიანს (დაბ. 26.04.1978 წ. თბილისში. პ/№ 01024004041, რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი, ო. თაქთაქიშვილის ქ. №14),* შემდგომში წოდებული, როგორც "მინდობილი პირი":

იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქალაქ თბილისის მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის სსიპ მერიის არქიტექტურის სამსახურში. შეიტანოს, წარადგინოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მის.: **ქალაქი თბილისი, ასათიანისა და დელისის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი №7/76) საკადასტრო კოდი: 01.10.15.007.076,** დამტკიცებული პროექტი და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება დაკავშირებული საპროექტო სამუშაოებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, თანხმობა. მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, ნებართვა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ფორმა, დანართი და ა. შ., გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია **სამი წლის ვადით.**

მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების **შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.**

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი; დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი */ანჟელა მანია/*

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
90408142049815

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N150492628

რეგისტრაციის თარიღი
15.05.2015 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18